



მწყამსი

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ე რ ფ ი ლ ე ბ ა

შეაღლასი ბანიფასტი.

«შეწვენითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი ჭ თვითმპყრობელი სრულიად-რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, და ნოვგოროდისა, მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე პოლონეთისა, მეფე ციმბირისა, მეფე ხერსონეს-ტავრიდისა, მეფე აქართველოსი, ხელმწიფე სსკოვისა და ღიდი მთავარი სმოლენსკისა, ლიტვისა, ვოლინისი, პოდოლისა და ფანლიანდიისა, მთავარი ესტლიანდიისა, ლიფლიანდიისა, კურლიანდიისა, სემიგალისა, სამოვიტისა, ბელოსტოკისა, კარელიისა, ტვერისა, იუგორისა, პერმისა, ვიატკისა, ბოლოგარისა და სხვათა, ხელმწიფე და ღიდი მთავარი ნოვგოროდისა, ქვემო ქვეყნებისა, ჩერნიოგენისა, რიაზანისა, პოლოცკისა, როსტოვსა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდისა, ვიტებსკისა, მსტისლავისა და სრულიად ჩრდილოეთ ქვეყნებისა, მბრძანებელი და ხელმწიფე ივერიისა, ქართლისა და ყაზარდს მიწებისა და სომხების ქვეყნისა, ჩერქეზთა და მთიელთა თავადებისა და სხვათა მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი, ხელმწიფე თურქესტანისა, მემკვიდრე ნორვეგიისა, ჰერცოგი შლეზვიგ-ჰოლშტინისა, სტორმარისა, ღიტ-მარენისა და ოლდენბურგისა და სხვათა და სხვათა და სხვათა. ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ვზრუნავთ რა მუდამ მშვიდობიანობისათვის, ჩვენ ყოველგვარი საშუალება ვიხმარეთ შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის გასამტკიცებლად. ამ სამშვიდობო აზრით თანხმობა განვა-

ცხადებთ იაპონიის მთავრობის იმ წინადადებაზე, რომ გადასინჯულ იქმნას ორსავე იმპერიის შორის არსებული შტანსმებანი კორეის საქმეების შესახებ. მაგრამ ამ საგნის გამო აღძრული მოლაპარაკებანი დასრულებულ არ იქმნა, და იაპონიამ, არ დაუცხადა რა ჩვენის მთავრობის უკანასკნელ წინადადებების მიღებას, გვაუწყა რუსეთთან მოლაპარაკების შეწყვეტისა და სადიპლომატო ურთიერთობის მოსპობის შესახებ. იაპონიის მთავრობამ არ გვაცნობა წინაწინვე, რომ ასეთ ურთიერთობის მოსპობას მოსდევდა საშენდრო მოქმედების დაწყება და უბრძანათვის ნაღმიან გემებს, მოულოდნელად ივერიში მიეტანათ პორტ-არტურის სანაპირო რეიდზე მდგომ ჩვენ ესკადრაზე. როდესაც ამის შესახებ მივიღეთ მოხსენება ჩვენის ნამესტიკისა შორეულ-აღმოსავლეთში, მაშინვე ბრძანება გავგზავნეთ, შეიარაღებული ძალითვე გაეცათ პასუხი იაპონიისთვის.

„ვაცხადებთ რა ჩვენს ასეთ გადაწყვეტილებას, გვწავს უზუნავის დახმარება და შეურყვეველი იმედი გვაქვს, რომ ყველა ჩვენი ერთგული ქვეშევრდომი ჩვენთან ერთად თავს გამოიღებს სამშობლოსთვის. ამასთან ვთხოვ უფალს, მოუყლინოს მადლი თვისი ჩვენის ჯარისა და ფლოტის მხედრობას.“

„ბოძებულთა სანკტ-პეტერბურგს იანვრის ოც და შვიდსა დღესა, ქრისტეს შობიდან ათას ცხრასა მეთხუთსა წელსა, მეფობისა ჩვენისა მეათესა წელსა.“

სამჯდალზე მასის იმპერატორებათას უდიდებულესობის საკეთარის ხელთ მოწერილია „ნიკოლოზ.“





სავალდებულო დადგენილება

ქუთაისის გუბერნიისთვის, კამბეკეული ქუთაისის გუბერნატორის მიერ 421 მუხლის ძალით შეორე ტომის რუსეთის იმპერიის კანონების კრებულთა და თანხმად 218, 221 და 223 მუხლთა შეთანხმებულ ტომის დანაშაულად აღრითვე შეტყობინების და მოსმობის და 117 და 118 მუხლთა მომრიგ. მოსამართ. წესდებულებას.

შმსახმბ ტარმბისა და ბაჰმდმვისა იარაღის და ცმცხლ-სასროლი მასალისა.

1) ქუთაისის გუბერნიაში, როგორც დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე მათ გარეშეც, აღკრძალულია ყოველ-გვარი ცეცხლ-სასროლი იარაღის, ხმლის, სატევრის, ბეჭუთის, ფინური დანის, კასტეტების და ჯოხების, რომლებშიდაც არის მოთავსებული ხიშტაკი, ტარება—რანაირ ტანის ის-ზედაც უნდა იყოს.

2) მეტად პატივსაცემ შემთხვევაში შესაძლებელია ცეცხლ-სასროლი იარაღის, ხოლო ნაკონალურ ტანისამოსზე ხმლის ტარება—ქუთაისის ლუბერნატორის ნებართვით; შემდგომლობა ასეთ ნებართვაზე უნდა წარედგინოს გუბერნატორს მახორის უფროსებისა ან პოლიციმისტერებისაგან. იმ პირების შესახებ, რომელიც ეკუთვნის თაკადაზნაურობის წოდებას, შემოსხნებულ პოლიციის მოხელენი წინდაწინ უნდა შეთანხმდენ ადგილობრივ თავდა-აზნაურთა წინამძღოლთან.

3) ის პირები, რომელიც მიიღებენ ზემოაღნიშნულს ნებართვას, მიიღებენ ლუბერნატორისაგან ხელ-მოწეილი და სახელმწიფო ბეჭედ-დასმულ მოწმობას, რომელ მოწმობასაც აქვს ძალი მხოლოდ წლის განმავლობაში დლიდან მისი გამოტანისა:—ვინც იარაღს ატარებს, ეს მოწმობა უნდა ჰქონდეს თან ყოველთვის და ვალდებულია წარუდგინოს პოლიციის მოთხოვნისაგან.

4) სამხედრო მოსამსახურენი და სამოქალაქო უწყების მოხელეები რომელთაც მინიჭებული აქვთ ფორმის ტანისამოსზე იარაღის ტარება, არ ექვემდებარებიან ზემოთქმულს წესს იმ იარაღის შესახებ, რომელიც მათ აქვთ კანონით მინიჭებული.

5) არავის არ აქვს ნება ივაქროს რაიმე ცეცხლ-სასროლი იარაღით და იმის საომარი მასალით, თუ

ლუბერნატორისაგან არ აქვს მიღებული ნებართვა თავის სახელზე.—მოწმობა ზემო აღნიშნული იარაღის გაყიდვის თაობაზე უნდა წარედგინოს პოლიციის მოთხოვნისათანავე.

6) ის პირები, რომელთაც წინა მუხლში მოხსენებულის რიგით ნება მიეცათ ივაქრონ ცეცხლ-სასროლი იარაღით და იმის საომარი მასალით: ვალდებული არიან იქონიონ დაწვებულის სახის სავანგებო წიგნი, რომელშიდაც უნდა ჩასწერონ ყველა ნაირი იარაღი და მისი მასალა, რომელიც მათ აქვთ ხელათ და ნიშნავდენ ყოველთვის—ვის და რანაირ იარაღს ან მის მასალას მიყიდიან; ხოლო იმ იარაღებთა შესახებ, რომელიც მოხსენებულთა მეშვიდე მუხლში, უნდა იყოს აღნიშნული წიგნში, რომელი მოწმობის ძალით, როდის ღ ვის მიყიდეს. ეს წიგნები ყოველთვის უნდა წარედგინოს პოლიციის მოხელეებს პირველსავე მოთხოვნილებაზე განსახილავთ და შესამოწმებლათ.

7) თოფები და ლევორველები, რა სისტემის და სახისაც უნდა იყოს, და მათი საომარი მასალა, შეიძლება მიყიდოს მხოლოდ იმთ, ვინც ქუთაისის ლუბერნატორის წერილობით ნებართვას წარადგენს მის სახელზე მიცემულს ამ ნივთების ყიდვაზე და მასთან რიცხვით მხოლოდ იმდენი, რამდენიც ნათქვამი იქნება ნებართვაში.

ნებართვის მოწმობები გამყიდველებმა უნდა შეინახონ როგორც გასამართლებელი საბუთები.

8) ვინც ზემოხსენებულ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, მიეცემა პასუხის ვებას 29, 117 და 118 მუხლ. ძალ. მომრიგ. მოსამ. წესდ., ხოლო იარაღი და ცეცხლ-სასროლი მასალა ჩამოერთმევათ.


9) ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში პირველ მარტიდან 1904 წლისა.

ხელი მოაწერა ქუთაისის გუბერნატორმა დენურად-მთიარმა სმაგინმა.

21 იანვარი 1904 წ.
ქ. ქუთაისი.



მწყემსი



შე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილან სული თვისი
ლასდვის ცხოვრათვის. იოან. 10—11.
მხოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სისარული
გათა შინა, ერთისთვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოველით ჩემდა ყოველი მამუალნი და ტვირთ-ამიმიანი
და შე განვისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.


საუბარი ღმერთს და ღვთის სიყვარულს. *)

საზოგადოდ ფიქრობენ, რომ სწავლა-მეცნიერება, შესწავლა გარეშეო ჩვენი ბუნებისა და საზოგადოდ განათლება გონებისა არის ვითომ მიზეზი ხალხში სარწმუნოების დასუსტებისა და დამბობისა. ესეთი აზრი—დიდი შეცდომაა. ქეშარიტი განათლება კაცისა, გარეშეო ბუნების გონივრულთა გამოკვლევა და შესწავლა სარწმუნოების დამასუსტებელი და დამამბობელი კი არ არის, არამედ ნამდვილი ბრჯი ზ მნათობია სარწმუნოებისა ღვთის არსებობაზე. ღვთის სარწმუნოების უარყოფა შეუძლია მხოლოდ გაუნათლებელს, რომელსაც განათლება მხოლოდ დაუნახავს შორი-

დან, თორემ თვით მას სრულებით არ მიუღია და არ შეუთვისებია. ესეთი შემცდარნი ყოველთვის ფიქრობენ, რომ მათ ყველაფერი იციან ზ ყველაფერი შეტყობილი და გაგებული აქვთ. ქეშარიტი განათლება, დამყარებული ქვეყნისა და ზეცის საიდუმლოებათა და ბუნების კანონთა გამოკვლევებზედ მიუცილებლად მიიყვანს კაცს ღვთისადმი. შესწავლა იმ დიდი ღვთის წიგნისა, რომლის სახელია—ქვეყნიერება, აკვირებს და ნასწავლ პირთა და უმტიციებს მათ ზეციური მნათობების მოძრაობის კანონებით და ქვეყნიური უბრალო და უმნიშვნელო მწერისა და პეპლების ცხოვრებით ღვთის—შემოქმედის არსებობას.

შესანიშნავი ინგლისელი მწერალი და ღრმა მოაზრე ბეკონი, მამა გამოკვლევითი მეცნიერებისა, ამბობს, რომ გამოკვლევითი მეცნიერების და ფი-

*) ამ საუბრების შედგენის დროს ვებლმძღვანელობდით მ. გ. 3-ვის საუბრებით.



ლოსოფიის ვალია კაცობრიობას შეატყობინოს სახსებით შემოქმედის არსებობა. უმჯობესი საშუალება შემოქმედის არსებობისა, საღრთო წერილების შემდეგ არის ქვეყნიერობის გამოკვლევა. ეს შესანიშნავი სიტყვები ბეკონისა, რამდენად კაცი უფრო განათლებული და განვითარებულია, იმდენად უფრო ადვილი გასაგები და მისახვედრია.

ავილოთ, მაგალითებზე, ნიუტონი, რომელმაც აღწა და განმარტა ქვეყნისა და ყველა ზეციურ მნათობა მოძრაობის კანონები. სხვანი დიდად განათლებულნი პირნი სიტყვას ვეღარ ჰპოებენ მის საქმე-სადიდებლად. გარნა თვით ის, ასე ყველასგან სადიდებელი პირი, აი რას ამბობს თავის თავზე: არ ვიცი რა შესანიშნავს ხელვეწ ჩემში, მაგრამ მე კი ჩემი თავი სწორედ ბავშვად მიმჩნია, რომელიც ზღვის პირზე თამაშობს და რამელიც აგროვებს პრტყელ ქვევს და წოიელ ხანას კვებს, მაგრამ სრულდებით არ იცის ის, რაც ცა კარულია მისთვის ზღვისაგან. აი, ასე ფიქრობდა თავის თავზედ ეს ყველასაგან განათლებით შესანიშნავი ფილოსოფოსი და როცა ღვთის სახელს ასხენებდენ ქუჩაში, იგი მაშინვე ქულს მოიხდიდა.

შესანიშნავი მატემატიკი და ბუნების მეცნიერი ამერი, რომელმაც შექმნა ახალი მეცნიერება — ელექტრო-დინამიკის გამომკვლევი, ერთ თავის წერილში ურჩევს ნაცნობ განათლებულ ახალ-გაზდა მეცნიერს: მოერიდეთ მარტო მეცნიერების შესწავლას, რაგორც ამას ჩადილი შენ წინეთ. „ისწავლეთ, გამოიკვლიეთ ქვეყნიური და ბუნებრივი კანონები: ამისთანა მეცადინობა სავალდებულოა ყოველი კაცისათვის, რომელსაც სურს მეცნიერება შეიძინოს; მაგრამ ხილულ ქვეყანას უყურეთ ერთი თვლით და მეორე თვლით ნიადაგ უყურებდეთ საუკუნო ქვეყანას. ერთი ხელით უნდა იკვლევდეთ ბუნებას, მაგრამ მეორე ხელი არ მოაშორო, როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე, ზეციური ღვთის კალთას...“

მაგალითები ნიუტონისა, კეპლერისა, გალილეისა, პასტერისა და სხვათა მრავალთა — განებით დიდად განათლებულ მეცნიერთა და სწავლულ პირთა, ცხადად გვიმტკიცებენ, რომ ღვთის ურწმუნოებას ბადებს კაცის გულში ცრუ, ზერელი და უკუღმართი სწავლა-მეცნიერება. წინააღმდეგ ქეშარიტ და ნამდვილ მეცნიერებას კაცი მიჰყავს

ღვთისაკენ. თუ ასეა, მაშ რას ამბობენ ზოგიერთი საბარლო და საცოდავნი, გზა-დაზნეული და უგუ-ნურნი?

არავენ უნდა დაივიწყოს ამასთან ისიც, რომ რამდენიც უნდა დაუმტკიცონ და მოუთხრან ღვთის არსებობა, კაცის გული და გონება შორს ვერ წავლენ. მათ არ შეუძლიათ შეიტყონ საიდუმლოება ღვთის არსებობისა. შეტყობა ღვთაებისა არ აქვს მინიჭებული კაცს. ღვთაებრივი უწყის მხოლოდ ღმერთმა, ხოლო კაცს-კი შეუძლია მარტო ცნობა კაცისა.

ქრისტეს მოსვლამდე სიცილიაში იყო ერთი მეფე სახელად გიერონი. ამ მეფეს თავის სასახლეში ჰყავდა მრავალი მეცნიერი, რომელთა შორის იყო ერთი მეტად შესამწევვი ბრძენი, სახელით სიმონი-დი. ერთხელ ვიერონმა მიიხმო იგი სასახლეში და უთხრა: —

— სიმონი! შენ დიდი სამსახური გავიწვევია ჩემთვის. რა საექვო კითხვის განმარტებაც უნდა მე-თქვა შენთვის, შენ ყოველთვის მაძლევდი მე გონიერულ რჩევასა და განმარტებას. აღიპურვე შენი სიბრძნით და ამისხენი მე: რა არის ღმერთი?

— ძალიან მძიმე კითხვა მომეცით, ხელმწიფეო, მოახსენა სიმონი. ამ კითხვაზე ძნელია პასუხის მოცემა ასე მალე. მომეცით ერთი-ორი დღის დრო მოსაფიქრებლად.

— კარგი! — დათანხმდა გიერონი. გავიდა ორი დღე: მოვიდა სიმონიდი მეფესთან. მეფე მოემზადა მისი პასუხის მოსასმენად; მაგრამ ბრძენმა სიმონი. დმა სთხოვა მეფეს კიდევ ოთხი დღის ვადა მოფიქრებისათვის.

— ძნელი ასახსენელია! — მოახსენა სიმონი. დმა მეფეს.

— ვიცი, რომ ძნელი ასახსენელია და ამისთვის მოვიტყევი შენთან ამ ძნელი კითხვის გამოსაცნობად. ადვილი რომ ყოფილიყო, სხვას ვეტყუდი და ისინი განმომარტებდნენ... წადი და მოიფიქრე.

განვლო ოთხმა დღემ. სიმონიდი მოვიდა მეფესთან და სთხოვა კიდევ რვა დღის ვადა მოსაფიქრებლად.

გიერონმა მოიჭმუნა. — სიმონიდი ხუმრობ! პირველად მთხოვე ორი დღე, მერე ოთხი დღე, დავთანხმდი. ესლა მთხოვე რვა დღის ვადის მოცემას. როცა გავივლის რვა დღე,



მერე შეიძლება მთხოვო თქვესმეტი დღის ვადა და ამის შემდეგ კიდევ ოცდა თორმეტი დღის ვადა. როლის მომცემ მე პასუხს?

— შენ მიხვდი, ხელმწიფეო, — წყნარად მიუგო სიმონიდმა. როცა გავიდა რვა დღე, მერე გთხოვდით თქვესმეტი დღის ვადას, შემდეგ ოცდა თორმეტი დღისას იმის შემდეგ სამოცდა ოთხისას და ასე განვაგრძობდი განმეორებით მეტი ვადის მოცემას დაუსრულებლად. რაიცა შეეხება თქვენი კითხვის განმარტებას, მე ვგონებ თქვენს პასუხზე მოგახსენებ მიგება.

— როგორი პასუხი მომეცით? შენ მხოლოდ დროებას მთხოვდით ჩემი კითხვის განმარტებისათვის ღმერთზე და სხვა არა გითქვამს რა.

— აი, ეგ არის ჩემი მიგებაც, — მოახსენა სიმონიდმა; — შენი კითხვის განმარტება, ხელმწიფეო, ყოველ ბრძენთათვის შეუძლებელია. ღმერთზე რამდენ მეტს იფიქრებ, იმდენს ნაკლებათ გაიგებ. რამდენი დროც უნდა მოითხოვო არ იცმარებს მის გასვებად. ეს კითხვა როგორც ღიდი მთა ისეთია. როცა მთას შორიდან უცქერი ღიდათ გეჩვენება, მაგრამ დაუახლოვდები თუ არა, მაშინ უფრო ღიდათ და მაღლად გეჩვენება და მთის ახლოს შენი თავი სულ პატარად, საბრალოდ და არარაღ მიგაჩინია. თუ მთას ვერ გადააწვდენ ხელს და მთლად ვერ დაინახავ როგორ გნებაეს, ხელმწიფეო, თქვენის გონებით შესძლოთ გამოკვლევა და შეტყობა იმისა, რომელმანც შექმნა მთაეიც, მნათობეიც და ყოველივე რასაც ვხედავთ და ვერ ვხედავთ.

მიხვდა გიგრონი სიმონიდის სიტყვებს, კრძალულებით აღიხილნა თვალნი ზეცისაკენ და წარმოსთქვა:

— დიად, ღმერთი უხილავია და მიუწოამელი!

დგე. დ. დამასაშიე.



ნიმართის მარაჰის სამღვდლოების დეპუტატთა კრება 4. აშუათისში 15-22 დეკემბერს 1903 წ.

გაგრძელება *)

თუმცა მღვდლის ს. მკედლიძის პროექტი ურერთ დამხმარე საზოგადოების წესდებულების საბოლოო კითხვად იყო გადადებული, მაგრამ ველარ მოითმინა ამ პროექტის ავტორმა, კრების თავსმჯდომარემ და განუცხადა კრებას:

თავსმჯდომარე მდ. ს. მჭედლიძე. ეხლა ვსთხოვ კრებას, რომ გაარჩიონ ჩვენგან შედგენილი პროექტი ურთ-ერთ დამხმარე საზოგადოების შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, აქ დეპუტატები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, იფინი შეხვედულობას, მაგრამ ეხლავე ვაცხადებ, რომ არც ერთის აზრი არ შემძლია ე უშვა უპასუხოდ; რამდენმაც უნდა გამოსთქვას წაადმდე ამ პროექტისა თავისი აზრი მე ყველას სკათიულოდ გავსცემ პასუხს და მზად ვარ დავიცვა ბილომდის ის, რაზედაც ამდენი ვიშრომე, წააკითხა მთლიად პროექტი, შემდეგ გამოაცხადა: გთხოვთ, მაშინა, ვისაც სიტყვის ნება გასურს, ბრძანეთ და მთ სხეულებს ჩვენ დაწინავეთ, რომ ბოლოს რიგრიგობით სთქვან სიტყვები:

ბევრნი ჩაეწირენ. ბოლოს დაიწყეს თავისი აზრის გამოთქმა სათითულოდ.

დგე. ა. გესსამია. წარსულ წელში თქვენ, მ. სიმონ, დაპირდით სამღვდლოების კრებას, რომ შეადგენდით ურთ-ერთ შორის დამხმარე საზოგადოების წესდებულების პროექტს და წინ-დაწინვე დაბეჭდავდით ქართულად რომელიმე გამოცემაში. მაშინ ყველას შეეძლებოდა გამოეთქვა თავისი აზრი ამ პროექტის შესახებ. მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ. მღვდელთაფარის მოწერილობაში კი სხვა კითხვათა შორის ამ პროექტის შესახებაც იყო მოხსენებული. ვინაიდან ს მღვდლოებას არ ჰქონდა კარგად განმარტებული ეს კითხვა ამისათვის ვეჭილობაც არ მოგვეცეს და ჩვენ სამღვდლოების მოუნდობლად ამ საგნის შესახებ არავითარი სჯამაასი არა ვესურს.

თავსმჯდომარე. ჩვენი პროექტი «სახულოიერო მახარებელში» იყო დაბეჭდილი და შეგეძლოთ წაგვეკითხათ.

დგე. ა. გესსამია. ის ნომერი ჟურნალისა, რომელშიაც თქვენ დაგებუქდათ პროექტი სწორეთ იმ

*) ის. „მწვეში“ № 1 --2, 1904 წ.



დღეს მივიღეთ, როცა აქ მოვდიოდით კრებაზე და რა სჯა-ბაისი უნდა მოგვეწერო მაშინ? ამასთან რა საჭიროება მოითხოვდა რომ რუსულ ენაზე დაბეჭედდეთ და ქართულად არ ინებეთ, როდესაც ქართულად დაბეჭდილი ყველას ვასაგებებო იქნებოდა და უფრო ადრე დაბეჭდვაც შეიძლებოდა.

დებუტატის მამა გერსამიას სიტყვის წინააღმდეგ თავსმჯდომარემ დიდხანს გააგრძელა სიტყვა და უმტკიცებდა კრებას. რომ მისი პროექტი კარგად არის შედგენილი და დიდათ სასარგებლო იქნება თუ სამღვდლოება მიიღებს მას. ვეჭირობა საჭირო არ არის ამაზე სამღვდლოებისაგანა და სხვ.

დკკ. დ. დამა—ტყ. უფს. მამა გერსამიამ განაცხადა, რომ დაბეჭდილი პროექტი მ. სიმონ მკედლიძისა არც მას და არც მისს საბლაღოჩინო მღვდლებს არ წაუკითხავსთო, არ ჰქონიათ მსჯელობა საბლაღოჩინო კრებაზე სამღვდლოებას და, ვინაიდან ვეჭირობა არა აქვსთ ამ საგნის შესახებ სამღვდლოებისაგან საჭიროდ არა რაკხს სჯა-ბაისი გამართის კრებაზე ხსენებული პროექტის მიღებაზე. ჩვენც, მართალია, გვიან მივიღეთ საქართველოს საეპისკოპოსოსის მოამბის ჟურნალის ეს ნომერი, რომელშიაც იყო დაბეჭდილი პროექტი, მაგრამ მაშინვე მოგვხინვე განკარგულება საბლაღოჩინო მამრის სამღვდლოების შეკრებისათვის. საბლაღოჩინო სამღვდლოებას კრებაზე თავიდან ბოლომდის წაუკითხვე მამა ს. მკედლიძისაგან შედგენილი პროექტი და ვისაც რუსულად გაგება არ შეეძლო, მათ ქართულად გადაუთარგმნეთ. კრებაზე სათითაეულოდ გაიჩრა ყოველი მუხლები ამ პროექტისა და იმავე საბლაღოჩინო კრების სამღვდლოებამ დაადგინა ჟურნალი და ყველა დებუტატებს დავავალა ებარქის სამღვდლოების ამ კრებისათვის წარმოგვედგინა. ჩვენც სამღვდლოების მონდომილებისამებრ წარმოგადგინეთ და გთხოვთ წაუკითხოთ კრებას. მე ვგონებ თქვენ, როცა ეს კითხვა აღძარით, ვალდებულნი იყავით პროექტის წაკითხვის შემდეგ რაკი რამ იყოს მეგ პროექტის შესახებ წერილობით სამღვდლოებისაგან გამოგზავნილი უნდა წაგეკითხათ და გსლა მინც წაუკითხეთ კრებას რაც გაქვსთ მიღებული.

თავსმჯდომარე ეტებს ამ ქალღალს, ნახავს და თვითონ კითხულობს საიდუმლოდ, მაგრამ სამღვდლოების კრებას არ წაუკითხავს. გააგრძელებს სიტყვას

კვას კიდევ იმაზე, რომ პროექტი ძლიერ სასარგებლოა სამღვდლოებისათვისო. მოხდება ხშირად, რომ ფული არა აქვს მღვდელს და თუ ეს საზოგადოება დაეაარსეთ მაშინ ყოველ მღვდელს შეეძლებოდა ფულების სესხება და სხვა ამისთანები...

მღ. ს. დგვაიკ. მე განვიხილეთ თქვენგან შედგენილი პროექტი; მ. სიმონ, მაგრამ ვნახე, რომ პროექტის მუხლები რალაცა ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. თქვენ იწურებთ, რომ ამ პროექტის შედგენის დროს იხელმძღვანელოთ ქუთაისის ნდობის ბანკის წესდებულებით და უმრავლესი მუხლები ამ პროექტისა იქიდან გვაქვსთ გადმოღებული შეუცვლელად. ამ პროექტში კი გარდა ფინანსური ანგარიშებისა თქვენ რალაცა სამოწყალო და საქველმოქმედო მოსაზრებაც გავიტარებთო. ქუთაისის ურთიერთ შორის ნდობის ბანკის სამოწყალო მიზანი არა აქვს სრულებით სახეში.

დგპ. დგვიძეს თავსმჯდომარემ აღარ დააცალა დასრულება სიტყვისა და ისევე მოყვა თავიდან თავის პროექტის ქება-დიდებას და უჩრევდა სამღვდლოებას, რომ მიეღო იგი და ესარგებლათ.

დკკ. დ. დამაშაქე. იმ ნიარად კითხვის გარჩევა და საქმის გადაწყვეტა, როგორც ეს სურს თავსმჯდომარეს თავის პროექტის შესახებ, უნდა შეუძლებელია. მამაო სიმონ! მე გთხოვ თქვენ, რომ დაეცალოთ ჯერეთ ყველას თავისი აზრის გამოთქმა. თქვენ დანიშინეთ დებუტატებისაგან წარმოთქმული სიტყვანი, რომელნიც თქვენ არ მოგეწონათ და ბოლოს ყველანი, რომ გამოთქმენ თავის აზრს მერმე დაარღვიეთ მათი აზრი, მათი შემცდარი მოსაზრება, თორემ როგორ შეიძლება ეგრე ძალობა? დებუტატნი, რომ ორიოდე სიტყვას გამოთქმას თქვენ ნახევიარი საათით აგრძელებთ თავის სიტყვას. ეს დღეები მიდის ამისთანა უბრალო საგნების ბაასზე და სხვა უფრო სერიოზული საქმეები კი გვჩრება განუხილავი. ეს კითხვა მაშინ უნდა გაგვჩრიათ როცა სითთ მივაღებოდით მის გარჩევას და არა სხვაზე წინ. ვინაიდან თქვენ გულგრილად არ შევიძლიათ მოისმინოთ დებუტატების წინააღმდეგი აზრი პროექტის შესახებ, უმჯობესია თქვენ დაუთმოთ ამ კითხვის გარჩევაზე ადგილი თავსმჯდომარეობისა თქვენს კანდიდატს.

კრებამ ეს უკანასკნელი აზრი მოიწონა და სთხოვეთ თავსმჯდომარის ადგილი დაეკავებია მის



კანდიდატს. მხოლოდ ამ დროს შეიტყო კრებამ, რომ მამა სიმონ მჭედლიძეს თავისი კანდიდატი სიგელში გამოეტოვებია და მარტოც მისი აღრჩევა აღნიშნა უკანდილატო. სიტყვის ნება ითხოვა საქმის მწარმოებელმა მაგრამ თავსმჯღღამარემ არ მისცა ნება. ამისგანა საქმის მწარმოებელმა მართვა თავისი ადგილი და დებუტატებში ჩაჯდა. მთელი დღე დაიკარგა ამ უბრალო და უთავბოლო სჯაბაასში. კრება დაიშალა და მეორე დღისთვის გადაიდგა.

მეორე დღეს, ვახსნა თუ არა კრება, ერთმა დებუტატმა სთქვა: გუშინ იმდენი ლაბარაკი იყო მამა ს. მჭედლიძის პრაექტზე და როგორც სჩანს სამღვდლოების დებუტატზე არ სურსთ მისი მიღება და უარის თქმა უნდათ. ჩემის აზრით ეს სირცხვილი იქნება. კაცი აზრომეთ და დღეს საუჭრის მაგიერ კიდევ უმადურობას ეუბნებით. ეს როგორ შეიძლება? მივსცეთ ცოცხა საუჭარი და პრაექტს თუ არ მიიღებთ თქვენი ნებაა...

თავსმჯღღამარე. მე უნდა მოვახსენოთ მამანო დებუტატო, კეთილის სურვილის მეტი არა მაქვს სახეში. მე ვიცი ზოგიერთი გაჭირვებული მღვდლების მდგომარეობა სოფლებში. ისეთ დროში ჩაჯარიღებიან ხანდისხან, რომ მათვის ფულების შოვნა სესხებითი სახით სწორედ უბედურებისაგან გამოხსნა. სად იშოვოს ფულები საწყალობა? მოდის ქალაქში, ადვილით სესხულობს ფულებს ხსენებული საზოგადოებისაგან და იკეთებს საქმეს! ამას რაღა სჯობს? მე მაზრომეთ და თუ ტყუილა უყურადღებოდ არ ჩამიბარებთ ამ შრომას სასიამოვნო იქნება.

დოქ. დ. ღამბაშიაძე. ის დებუტატი, რომელიც სასყიდლს თხოვილობდა მამა ს. მჭედლიძისათვის, ალბათ ახალი დებუტატია და წარსულ წელში კრებაზე არ ყოფილა. წარსულ წელში დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე მამა ს. მჭედლიძის წინადადებამ ამ პრაექტის შესახებ. მამა ს. მჭედლიძეს სურდა თავზე მოეხვია სამღვდლოებისათვის მისი მომავალი პრაექტი და ამისათვის თხოვილობდა ეს კითხვა პრინციპიალურად მიეღო კრებას და ეთხოვა მისთვის სამღვდლოებას წესდებულების პრაექტის შედგენა. ჩვენ გახლდით მანძინ თავსმჯღღამარედ და კარგად მესმოდა თუ რას ნიშნავდა „პრინციპიალურად“ მისი წინადადების მიღება და კრების თხოვნა წესდების პრაექტის შედგენისა. როდესაც ჩვენ ეს აზრი

განუმარტეთ კრებას მაშინვე უარჯყო მისი მიღება. როცა იგი გავაცნობს, სწერდა თავის განჩინებაში, სამღვდლოების დებუტატები და ვახუთში დაბეკილდის მთელი სამღვდლოება გაეცნობა მაშინ ვიკონიებთ მსჯელობას მის მიღებასა და მიუღებლობაზე. ესეთი იყო წარსული წლის ჟურნალური დადგენილება და თუ არავის სჯერა ეს, მონახონ ის ჟურნალი და წაუკითხოთ სამღვდლოებას.

ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით და ვართ სამღვდლოების ძალდატანებაზე. ზოგიერთებს დიდი იმედი აქვს მისი, რომ სამღვდლოებას თუ კი რამეზე ხელი მოაწერინეს მერე ფულის გამოღებას მას აღარ კითხავენ, რადგან ჯამაგირიდან დაუჭერენ ედოიან. ჩვენ ამ საზოგადოების დაარსების შესახებ ჩვენი პასუხი ბეჭდვითი სიტყვით გამოვსთქვიეთ. ბევრს ადვილია მიანია ყველაფრის მოხსენება ჩვენში რასაც რ სეთში ადვილად ახერხებენ. მაგრამ ამაში ხშირად ნატყუებული დარჩებიან, ისე როგორც ერთი სერიელი მამა მოტყუედა ქარის წისქვილის გაკეთებაში. სწორედ ენუქას ანდერძს მომავალნებს მამა ს. მჭედლიძის პრაექტი, როცა ვკითხულობ: «საზოგადოებას სანათლის ქარხნიცა და დასაკელსიო ნივთების საწყობიდან ფულები შემოუა.» მე არ მჯერა, რომ წლიურმა შემოსავლობა საზოგადოების მართვა-გამგებობის ხარჯები დაფაროს და როდის შედგება ათი ათასი მანეთი, რომ წვერებმა ისესხონ? ყველაზე საუმჯობესო და სასარგებლო იქნება, როგორც ეს ითხოვა შორაპნის საბლალონიჩო მაზრის სამღვდლოებამ, დაარსდეს სამარხი კასის მსავასლ სამღვდლოებაში მთელს ებარქიაში ან თითო მაზრებში ურთ-ერთ დამხმარე საზოგადოებას სახელით. ზოგიერთ ადგილას რუსეთში ეს უფრო საუმჯობესოდ და სასარგებლოდ მიიჩნეეს და კიდევ დააარსეს.

რაიცა შეეხება მამა ს. მჭედლიძის განცხადებას, რომ სოფელში ფულს ვერ ისესხებს კაცო, ეს მართალი არ არის. ამა გაშინჯეთ და შეიტყუეთ თუ რამდენი ფული შეაქვსთ კასაში სამ კაბეკ ნახევარის სარგებლისათვის. რატომ არ ასესხებენ ეს კაცები ფულებს ფულების მთხოვნელთ? იმიტომ, რომ მათგან ვერც ერთ კაბეკს ვერ ამოიგებენ. მე ვიცი ერთი მღვდელი რომელიც პრისტავი ხუთი აღსრულებითი ფურცლით დასდევს უკან და ვერაფერი აუწერა, რადგან მამა ცოცხალი ყავს და ვერა

აუწყებდა. ამისთანა წყევრისთვის ძლიერ სასარგებლოა ურთ-ერთ დამხმარე საზოგადოებათა დაარსება, რადგან ფულებს ისესხებს, მაგრამ გარდახდით კი ვერას გარდახდევინებენ!.. მე არა მსჯობ, რომ ძალდატანებით ჩვენში დაარსდეს რამე და სხვის მოუწოდებლად მე თანხმობას არ ვაცხადებ. კეთილ მნებელობით თუ დაარსდება რამე მათი ნებაა, ვინაჲც სურს ჩაეწყვროს და რამდენიც სურდეს იმდენი გარდაიხადოს!

ნახევარი დღე კიდევ გავრძელობდა ლაპარაკი ამ პროექტის თაობაზე. ბოლოს მოითხოვეს კენჭისყრით გათავებულებო ეს კითხვა, მაგრამ თავსმჯდომარემ არ ინება. მოითხოვეს დებუტატებმა, რომ ეს კითხვა უთუოდ გათავებულებო, მაგრამ თავსმჯდომარემ განაცხადა: რადგან არა ვსურსთ მაშინა ამ პროექტის მიღება კარგი თავი დაანებეთ უკან მიმაქვს ჩემი პროექტითა და სხვა კითხვების განაილვას შეუდგა. წარმოიდგინეთ, მთელი ორი დღე ამ კითხვის შესახებ იყო ერთი ვაცხარებულო ბაასი და თავსმჯდომარემ ჟურნალი არ შეადგინა!..

(შემდეგი აქნება)

დასწყრ.



შურნალ-გაზეთთაბიდან.

რუსეთის პრასსა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ

„პეტერბ. ვედ.“-ში ბ-ნ სოლომონის ერთი შესანიშნავი წერილია, დაბეჭდილი.

წერილის ავტორს მოჰყავს წარსულ საუკუნის ცნობილ რუს მოგზაურის ვ. მ. გოლოვინის აზრი იაპონელების შესახებ. გოლოვინი 1811 წელს (თითქმის ერთის საუკუნის წინად) იაპონელებმა დაატყვევეს და მხოლოდ ორის წლის შემდეგ განთავისუფლეს. რამდენისაჲმ ხნის შემდეგ გამოვიდა გოლოვინის წიგნი იაპონაზე, რომელიც უცხოელ ენებზედც გადათარგმნა, რადგან მშვენიერსა და ყოველ მხრივ აღწერას წარამადგენდა მაშინ ნაკლებად ცნობილის ქვეყნისას. ამ წიგნში, სხვათა შორის, ყოფილა საინტერესო შენიშვნა იაპონიის მომავალზე და სწორედ ეს შენიშვნა მოჰყავს „პეტერბ. ვედომ.“-ში ბ-ნ სოლომონის. აი, რასა სწყერდა გოლოვინი:

იაპონიის მთავრობას მსურს მისი ხალხი კმაყოფილებოდეს ისევ იაპონურის განათლებით, ეროვნულის მეცნიერებითა და სხვებისაგან არაფერი შეითვისოს; ეს სურვილი იმით იხსნება, რომ იაპონიის მთავრობა შიშობს, უცხოელ მეცნიერებასთან ერთად გარყვნილებაც არ შემოვიდესო. დმერთს უნდა ვმადლობდეთ ჩვენ, რუსები და ყველა ევროპელები რომ იაპონიის მმართველთ ასეთი კეთილი აზრი და სურვილი აქვთ; უნდა ვეცადოთ, რომ იაპონელებმა ეს აზრი არ გამოიკვლონ და ევროპის განათლების შეთვისება არ მოისცვალონ. თუ ამ ქვეყანა, ნიქიერ, შრომის მოყვარე და მრავალრიცხვოვან ერს ისეთი გენიოსი ხელმწიფე გაუჩნდა, როგორც ჩვენი პეტრე დიდი იყო, იაპონია სულ მოკლე დროში მთელის შორეულ-აღმოსავლეთის პატონად გადაიქცევა. რაღა ეშველება მაშინ რუსეთის და ამერიკის სამფლობელოებს აღმოსავლეთის ოკეანეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებზე? ვერც რუსეთი და ვერც ამერიკა ვერ შესძლებენ ამ შორეულ ქვეყნების დაცვას გაძლიერებულ იაპონელებისაგან.

თუ იაპონიამ შეითვისა ევროპის კულტურა და პოლიტიკა, ჩინეთიც იძულებული შეიქმნება მის მაგალითს მიჰბადოს. ამ შემთხვევაში, ეს ორი ერი შესძლებს ევროპის საქმეებს სულ სხვაგვარი მსვლელობა მისცეს. თუმცა იაპონელებსა და ჩინელებს სძულთ ყოველი უცხოელი, ყველაფერი სხვისი, მაგრამ, ვინ იცის, აღამიანთა ცხოვრებაში სამუდამო არაფერია და, შესაძლებელია, ამათაც ოდესმე შეიყვარონ ევროპიელთა კულტურა. შესაძლებელია ისიც, რომ უკიდურესმა გარემოებამ აძიულოს ჩინელებიცა და იაპონელებიც და სხვისი კულტურა შეათვისებინოს. მაგალითად, მეზობელ ერთა თავდასხმამ თუ საქმე გაუჭირა მათ, შესაძლებელია დაფიქრდნ და შეიგნონ, რომ უცხოელთა თავიდან არაშორებლად მათისავე იარაღით უნდა აღვიჭურვოთო მაშინ იაპონელები გააჩენენ სახმებლო გემებს და სხვა ევროპიულ ღონისძიებათა, აღამიანთა ამოწყვეტისათვის მოგონილთ. მასწავლებლებსაც ბევრს იშოვნიან, თუ ევროპას მიჰმართვენ. ამიტომ, ჩემის ფიქრით, არ უნდა შევაწუხოთ და გავაღიზიანოთ ეს პატრიოტული და მართალი ხალხი.. მე არ ვამბობ, რომ იაპონელებს არ შეუძლიათ დღესვე გაევროპიელდნ და ჩვენთვის საშიშ მეზობლებათ შექმნენ, მაგრამ შესაძლებელია აღრე თუ გვიან ასე მოხდეს...

ბ-ნ სალომინს მოჰყავს ეს შენიშვნა და თავის მხრით დასძენს: ამ წამად ეს უკვე აღსრულდა! იაპონელები გაეფროვილდნენ და საშიშარ მებრძოლებად გავვიხდნენ.

თავ. მეშჩერსკის ცნობილმა გაზეთმა განსაკუთრებული და თანაც გასაკვირველი პოზიცია დაიჭირა ომის შესახებ აღძრულ სჯა-ბაასში. მაშინ როდესაც ყველა სხვა კონსერვატიული და ბევრი ლიბერალური გაზეთიც მუქართა და მრისხანებით სწერს, «გრაჟდანიან»-ი არა ჩვეულებრივ ზომიერებას იცავს და ამშვიდებს პრესას. მართალია, «გრაჟდანიან»-ს, როგორც რუსები ამბობენ, «კვირაში შვიდი პარასკევი აქვს» და შეიძლება შემდეგში კილო გამოიკვალოს, მაგრამ მაინც საინტერესოა, რას ჰფიქრობს და რასა სწერს ეს, ზოგიერთ გაველიან წრეებში კარგად მიღებული, გაზეთი.

თავდაპირველად «გრაჟდანიან»-ი გულისწყრომით ამბობს: «ზოგიერთ რუსულ გაზეთებმა მონობლიად დაისახეს პატრიოტიზმი და ისეთი კილოთი სწერენ, თითქო მათ გარეშე არავის არ ესმის, რას მოითხოვს რუსეთის სახელმწიფოს ინტერესი; ეს გაზეთები შოვინისტურ მანიფესტებს სცემენ და ვინ იცის, რას არ მიედგმ-მოედგებიან». ერთი გაზეთითა, მაგალითად, განაგრძობს «გრაჟდანიან»-ი ასეთ მუქარას ჰბეჭდავს:

უმჯობესია პირდაპირ ვილაპარაკოთ; თავიდანვებით დიპლომატიურ გაუგებარ კილოსა და გადაქრით ვთქვათ, რაც გვინდა. რუსეთმა სისხლი დაღვარა და მანჯურია ისე დაიჭირა; რკინის გზა გაიყვანა და ამრიგად შემოიერთა ეს ქვეყანა. ამიტომაც მანჯურიის საფსებით და სამუდამოდ უნდა დავებატრონოთ. რუსეთის არავისი არ უნდა ვემინოდეს და თავისუფლად უნდა იმოქმედოს.. მანჯურიის გარდა კორეიასაც უნდა დავებატრონოთ. ჩვენ უნდა გავდევნოთ იაპონელები კორეიდან, თუნდაც ომი ნ და ნ წელიწადს გაგრძელდეს.

თავ. მეშჩერსკი განცვიფრებაში მოჰყავს ამ სიტყვებს. შოვინისტურ გაზეთს არაფერი არ მიუღია მხედველობაშიო, სწერს «გრაჟდანიან»-ი: არც ხელმწიფის გადაწყვეტილება, არც რუსეთის მდგომარეობა, არც სხვა სახელმწიფოთა სურვილიო. «მე ყველა ამ გარემოებას ვიღებ მხედველობაშიო, ამბობს თავ. მეშჩერსკი, და ვფიქრობ, რომ

(რუსეთის ინტერესი სრულიად არ მოითხოვს მანჯურიისა და კორეის დაპყრობას. გაუბედავ და

ვიტყვი, რომ რუსეთის ღირსება სრულიად არ დაინარგება, თუ ომის დასასრულ ჩვენი ხელმწიფე ისეთ დადგენილებას მოახდენს, რომელიც საფუძვლად დაედება იაპონიასთან და კორეიასთან შეთანხმებას,—შეთანხმებას იმდენად მკეოდრსა და ორისავე მხარისთვის იმდენად სასარგებლოს, რომ ჩვენს მეფეს თავისუფლად შეეძლოს მთელი ძალღონე რუსეთის შინაურ ცხოვრების რეფორმას მოახმაროს. საქმის ასეთი დაბოლოება თავიდან აგვაცილებს იმ საშინელ ომს, რომლის ნ 6 წლის განგრძობას ასე გულგრილად თხოულობენ შოვინისტ-პატრიოტები.



იმპერატორი ალექსანდრე მეორე.

19 თებერვალს ყვირილის ეკლესიაში გარდახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი დაუეციყარ იმპერატორის ალექსანდრე მამოლის სულის მოსახსენებლად. ამ დღეს ყველა სასწავლებლის მოსწავლენი თავისუფალნი იყვნენ სწავლისაგან და ეკლესიაში იყვნენ წირვაზე.



სახლი ამბები და შენიშვნები.

ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან სსსფსო განათლებისთვის წლეულს გადაღებულია 120,957 მანეთი. ეს ფული ასეა განაწილებული: 74,895 მანეთი—საერო განათლების სამინისტროს სკოლებს; 17,800 მანეთი—სამრევლო-საეკლესიო სკოლებს; 6000 მანეთი—ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლას; 12,698 მანეთი—სოფლის ნორმალურ სკოლების შენობების დასაქირავებლად, გასათბობად და გასანათლებლად; 10,064 მანეთი—ტიფლისის საფერ-შლო სკოლის (მიხეილის სამკურნალოსთან) შესანახად.

* * * ხმა გავრცელდა, ვითომ ბაიკალის ტბაზე რუსის 2,000-მდე ჯარის-კაცი დაიყინათ. ამის გამო პეტერბურგიდან დეპეშით შეეკიბნენ იქა, 'ს მოხელეებს, რომლებმაც პეტერბურგში შეატყობინეს, ეგ ხმა ტყუილიაო («გრაჟ.»).

* * * როგორც «ტიფლ. ლისტ.»-ი გადმოგვცემს, ქარაფელ თავდა-ზხაუნთა ასლ-კახლადობას განუზრახავს თურმე შეადგინოს თავისუფალი მებრძოლთა რაზმი (100 კაცივანად) და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს.

* * * რუსეთის მაზრის უფროსის თანაშემწე წერეთელი დაინიშნა მომრიგებელ შუაპედალ შორაპნის მაზრაში.

* * * ქუთაისის პოლიციისტიერი ლისიანკი დაინიშნა მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლად შარურო-დარალაგვის მაზრაში.

* * * სახელმწიფო ბანკის ეკატერინოსლავის განყოფილების უფროსი აცხადებს: „ზოგიერთი ბოროტის აზრით ხალხში ხმას ავრცელებენ, ვითომ იმის გამო შესანახ კასებიდან პატრონებს ფულს აღარ უბრუნებენო. ამ ხმის გამავრცელებელნი ხალხს ურჩებენ, კასიდან ფული გამოიტანეთ და ჩვენ ჩაგვაბარეთ, რისთვისაც ხელწერილებს მოგცემითო. სახელმწიფო ბანკის ეკატერინოსლავის განყოფილება აცხადებს, რომ ანაირი ხმები ტყუილია და შემნახელი კასა მსურველთ არა თუ ფულს უპირველ უბრუნებს, არამედ ფულის სარგებელსაც იძენს თავის ძილს, რამდენიც აქამდე იყო («ვესტ. იუგა.»)

* * * დეპეშა ნამესტნიკისა, გენარალ-ადიუტანტის აღექვევისა მუკუნდიდან 23 თებერვალს მის იმპერა-

ტორებით უდიდებულესობას: „თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას მოვახსენებ, რომ ვლადივოსტოკის კომენდანტი დეპეშით მატყობინებს: 23 თებერვალს დილის 8 საათსა და 50 წუთზე კუნძულ ასკოლდის სამხრეთით გამოჩნდა 7 გემი: 9 საათსა და 45 წუთზე გამოირკვა, რომ სენს სამხედრო გემები არიან და კუნძულ ასკოლდისაკენ მიდიან; შუადღისას მტრის ესკადრა ნაპირსა და კუნძულ ასკოლდის შუა იმყოფებოდა და უსურისს ეურქვენ მიდიოდა. სიშორის გამო ციხის ზარბაზანი ვერ მიუწევდა. 1 საათსა და 30 წუთზე მტრის ესკადრამ ზარბაზნების სროლა დაიწყო. გამოირკვა, რომ ესკადრაში იმყოფებოდნენ, როგორც ვგონია, პირველ ხარისხის კრესიერები «იზუმო» და «იაკუშო»; სხვა გემების სახეობის ვერ გავიგეთ“.

* * * გუშინდელ ბრძოლის დაწვრილებით ცნობები: თვალსაჩინო ზარალი არ არის. თორმეტ დიუმიანი ზარბაზნის ყუმბარამ შეანგრია ხელოსან კონდაკოვას სახლი; ყუმბარა ბანიდან ჩავარდა და მოკლა კონდაკოვის ცოლი, რომელიც ფეხმძიმედ იყო, და ამის გარდა ოთხი შვილის პატრონიც. „გნილო უგოლ“—ში ყუმბარამ ქუკოვის სახლი შეანგრია, საწოლი ოთახი გაიარა, დაანგრია ფეხი და სხვა ნივთები, მეორე კედელი გახვრიტა და ფულის ყუთთან გასქდა. ფულის დარაჯი, რომელიც აფეთქებისაგან აყენებულ მტვერსა და თოვლში გახვია, არ შერკა, მხოლოდ მეორე ჯარის-კაცს დაუძახა, დროშა გამოიტანეთო; დროშა სხვა ჯარის-კაცებთან ერთად პოლოვნიკის მეუღლემ გამოიტანა; ცეცხლი არსად ვაჩენილა. ციმბირის ფლოტის ეკიპაჟის კაპრანისთან—ეშოში ყუმბარა გასქდა და ხუთი მესლეური მსუბუქად დასქრა. ამის მეტი დაქროლი და მოკლული არ არის. ჩვენის ბატარეებიდან ზარბაზნებს მხოლოდ იმტომ არ ისროდნენ, რომ, ჯერ ერთი, სიშორის გამო ყუმბარა არ მიუწევდა და მეორე, უდროვით მათი აღვილის აღმოჩენა არ გვინდოდა. მტრის ესკადრაში იმყოფებოდნენ ერთი ჯაგშნიანი გემი, ოთხი ჯაგშნიანი და ორი უჯაგშნო კრესიერი. დღეს ღამემ მშვიდობიანად გაიარა. მცხოვრებთა და ჯარის კაცთა შორის აღფრთოვანება ძალიან დიდია. მთულს ქალაქში იაპონელებს ეძებენ. გამოკრულია პოლიციის განცხადება, რომელიშიც ნათქვამია, ვინც იაპონელს აღმოაჩენს, საწუქარი მიეცემა, ვინც დამალეს, სამხედრო სასამართლოში მიიტყობა.

* * * „რუსეთის ვედომოსტ“-ის ანგარიშით რუსეთის მანჯურიაში ამ ეთამად 96 ქვეთა ბატალიონი, 60 რაზმი ცხენოსანი და 12 საპიორთა როტა ჰყავს, სულ 114,200 ჯარის-კაცი ჰყავს და 168 ზარბაზნი აქვს.

იაპონელებს-კი, გაზეთის ანგარიშით, 15 თებერვლამდე სულ 5 დივიზია ჯარი ჰყავდა გადაყვანილი კორეაში, ანუ 75 ათასი ჯარის-კაცი, ასე რომ რუსებს 39 ათასით მეტი კაცი ჰყავთ, ვიდრე იაპონელებს.—ამიტომ გაზეთი ჰქუირობს, რომ იაპონელ გენერლებს, ჯერ-ჯერობით მაინც, მეტად გაუჭირდებათ მანჯურიის ჯართან ბრძოლა.

* * * ზოგიერთები ამბობენ, რომ ორ კვირეულ ეურნალეებში სანტერესო ცნობები არ იქნებაო. ეს მართალი არ არის. ეხლანდელი ტელეგრაფები სწორეთ ორი კვირის შემდეგ გამოირკვევიან და ნამდვილი იცი სწორეთ ორი კვირის შემდეგ!.. ჩვენ ეურნალში რაც ცნობებია ისინი ყველა გამორკვეულნი და შესწორებულნი არიან, ასე რომ მკითხველნი და რწმუნებულნი უნდა იყოს დაბეჭდილი ცნობების სიმართლეში,

* * * სამრევლო-საეკლესიო სკოლის მთავრობას გადაუწყვეტია ბათუმის ოლქში დასახლებულ გამაჰლიანებულ ქართველთა შორის თორმეტამდე სამრევლო სკოლა დააარსოს. ჯერ-ჯერობით დაარსებენ ორ სკოლას. სწავლება ამ სკოლებში ქართულ ენაზე იქნება.

* * * ტფილისის გუბერნიის თავად ახნაურთა კომიტეტი დაქორციელებული მემორათავის შესწირეს: ლევან, სტეფანე, პეტრე და იაკობ კონსტანტინესძე ზუბალაშვილებმა—10,000 მანეთი, დ. ზ. სარჯიშვილმა—2,000 მ.

* * * ყვირილაში დ—ან ლამბაშისძის მალაზიაში, იაფად იყიდება ორი ზარი; 20 და 15 ფუთიანი—უბირველესი ქარხნის ფინლიანდიისა.

რედაქციისგან. ჯერეთ კადვე მკურნალთა ფურცლის გამოცემის ნებათვან არ მაგვადან და ამიტომ არ გამოვადის აღთქმულა დამატება, რამეღსაგ ანთაბებს რედაქციან წერალებას აგტარებს,



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწავლებლებსა და კეთილ-ცხენაბში.

ს ი ბ შ შ ა,

კაცად კაცდმან, ვითარცა მიიღო მაღლი, ვგრეთვე ურთიერთარს ამსახურებდით მას, ვითარცა კეთილი მწენი მრავალფერისა მის ნიების დმრთისასა. (1 პეტ. 4. 10).

ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ დედაკაცის და მამაკაცის უფლებათა გათანასწორებაზე. ეს კითხვა ძლიერ რთულია და ბევრი ნასწავლნი პირნი იღებენ მონაწილეობას მის ასე, თუ ისე აღსნაში. უნდა შევნიშნათ, რომ კიდვე დიდხანს იქნება გამწვავებული სჯა-ბაასი ამ საგნის შესახებ, მაგრამ, მგონია, რაც უნდა ეცადონ, ზემოთ გამოთქმულ აზრს გერსად წაუყდონ, თუ უნდათ, რომ მათ უკიდურესობა, ცალმხრობა არ დაღუენ ამ შემთხვევაში.

საღმრთო წერილი პირდაპირ გვეუბნება ჩვენ, საყვარელნო ძმანო და დანო, რომ მამაკაცი და დედაკაცი ღვთის წინაშე თანასწორნი არიან, იმათგან უპირატესობა არც ერთს არ აქვს მინიჭებული, არც ერთს მათგანს არ შეუძლია წამოძახოს მეორეს, „მე შენზე მეტი ვარ, მე შენი ბატონი უნდა ვიყო“ დაბადების პირველ წიგნში ვკითხულობთ: „მექმნა დმერთმან კაცი ხატად თვისად, მექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად მექმნა იგინი“ მექმნა კაცი, ე. ი. როგორც ერთი, ისე მეორე, როგორც დედა, ისე მამაკაცია, ორივეს ერთნაირი უფლება აქვთ. როდესაც მათ შესცოდეს და განდევნილ იყვნენ სამოთხიდან, ორთავეს მიეცა სასჯელი; ადამს უთხრა დმერთმა: „ოვლითა პირისა შენისათა შექამდე პურსა შენსა“, ევას უთხრა: „მწუხარებითა შენე შეილნი შენი“. ორთავეს სასჯელში იხატება შრომა, ტვირთი, რომელიც უნდა ეხილნათ მათ. არც ერთი მათგანი არ იყო განთავისუფლებული. როგორც ერთს ისე

მეორეს მოვლოდა ბრძოლა—ტანჯვა, რომ ეცხოვრნათ. არც ერთ მათგანს არ ჰქონდა უფლება უქმით გაეტარებია თავისი ღღენი და სხვისი ნაშრომით, ნაღვაწით თავი ეჩინა. მაგრამ კაცობრიობამ გადაუხვია გზას და ცოდვებისაგან აღჭურვილმა ადამიანმა თვითონ შესცვალა შეხედულობა თავის თავზე. მამაკაცმა, როგორც ბუნებით ფიზიკურად უძლიერესმა მოინდომა დამორჩილება დედაკაცისა, მისი დართუვლა და მხედველად გახდომა. კიდევაც მიადგინა ამ სურვილს და აღსრულდა ღვთისგან ნაწინასწარმეტყველები: „ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი (დედაკაცო) და იგი გეუფლებოდეს შენ“. დედაკაცმა დაკარგა მამაკაცთა თვალში ყოველივე ადამიანური ღირსება. მას იმოდენათ აფასებდნენ, რამოდენათ ემსახურებოდა მამაკაცს და რამოდენათ აკმაყოფილებდა მის ბიჭიერების, ენებათა მღელვარების, მოთხოვნილებას. რასაკვირველია დიდ-მწი-შენელობას აძლევდნენ გარეგნულ შეხედულობას, სილამაზეს ქალისას, რაიმე მის სათნოებას დიდ არაფერს ფასსა სდებდნენ. დედაკაცსაც მეტი არა დარჩენილა-რა, გარეგნულ თავისი შეხედულებისათვის, შეენიერებისათვის უნდა მიექცია ყურადღება, ამითი უნდა მოეხიზლა მას მამაკაცის გული. მაგრამ ამნაირი ხერხით გამარჯვება, თავისთავის ამაღლება განა დიდხანს შერჩება ადამიანს? არა, დიდი ხანი არ გაივლის, გარეგნული შეენიერება დედაკარგება მას და მასთან დირსებაც ჩამოერთმევა რამოდენად ამაღლებული იყო, იმოდენათ დამიკრებას მიიღებს იმავე მამაკაცისაგან, ე. ი. განდევნილ იქნება და მის ადგილს სხვა უკეთესი შეხედულობისა დაიკავებს. კიდევ კარგი, თუ მოკლე ხნის განმავლობაში, მაინც არის, ერთად ერთს დედაკაცს კავებოდა ზემოაღნიშნული საშუალებით მოპოვებული ადგილი ისე, რომ სხვა ვინმე მისი შემკობელი არ ყოფილიყო. მაგრამ მოთა საუბედურთათ, ერთსა და იმავე დროს ორს, სამს და მეტი ცოლები ყავდათ ხოლმე და მით მათ სიცოცხლეს უშემაბედნენ. რაც შეეხება მოქალაქეობრივ—საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას, ეს უფლება ხომ სულ ჩამორთმეული ჰქონდათ დედაკაცებს. ასე გასინჯეთ, სადაც მამაკაცები შეიკრიბებოდნენ, იქ დედაკაცებს არა ჰქონდათ ნება გამოჩენილიყვნენ. ხმის ამოღება, პირის სახის ჩვენება უცხო კაცთან სასტიკად იყო აკრძალული. მამაკაცი თავისთავს ნებას აძლევდა

გაეყინა და ეყინა, დაეტოვებია თავისთავისა და გაეგლო დედაკაცი, ე. ი. ისე მოპყრობოდა, როგორც ახლა ჩვენ ცხოველებს ვეპყრობით. რადესაცსეთ ცუდ მდგომარეობაში ჩაკვიდნენ კერპთაყენის მცემელთა ხელში ქალები, ებრაელებს უკეთესი შეხედულობა ჰქონდათ მათზე. მათ გარეგნულ შეხედულობას, სიმშვენიერეს ისე არ აფასებდნენ, როგორც ერთი მხრივ დედობას (ე. ი. რომ ბევრი შვილები ჰყოლოდა), მეორე მხრივ ოჯახობას, ქმრის-შვილების მივლა შენახვას. ყოველ ებრაელს სურდა, რომ შთამამავლობა მისი გამრავლებულიყო, მაცხოვრის გამოცხადების დრომდისინ მიეხწია და მით ზეციერ სასუფეველში, რომელიც უნდა დამდგარიყო იესო ქრისტეს მოსვლის შემდეგ, მონაწილეობა მიეღო. ამისათვის ვისაც შვილი არა ჰყავდა, უღირსათ სთვლიდა თავისთავს ღვთის წინაშე. თუ შვილები ჰყავდა, და მასთან გამრჯული ადამიანიც იყო, დიდათ აფასებდნენ მას ებრაელები. „მოდლი დედაკაცისა, ახარებს ქმარსა მისსა და ძალოთა მისთა განაპოხებს ხელოვნება მისი“, „დედაკაცი მხნე გვირგვინია ქმრისა“; „დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უფიერეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა სწორენ სოლომონ ბრძენი და ისო ზირაქი და მით გამოთქვამენ ებრაელთა უმრავლესობის აზრს, შეხედულობას. ამასთან დიდ მწიშენელობას აძლევდნენ ნიჭს, მეცნიერებას მისს (ზირ. 25, 11); მაგრამ თან თხოვნიდნენ სიმშვიდეს, სიწყნარსა. «ნიქი უფლისა დედაკაცი მღუმაზე. მაღლი მაღლისა ზედა დედაკაცი მორცხვედი“, ამბობს იგივე ბრძენი. ვისაც ეს უქანასქნელი თვისება არ მოეპოვება, ყველასაგან მოძულეებული იყო. ამბობდნენ: „უმჯობეს არს ცხოვრება ქვეყანასა შინა უღაბნისა, ვიდრე-და ცხოვრება დედაკაცისათანა მოლაღულისა (კაპასისა) და ენოვანისა და მრისხანისა“. „უმჯობეს არს ცხოვრება ღომთა თანა და ვეშაბთა, ვიდრე ცხოვრება დედაკაცისა ბოროტისათანა“. „უმჯობეს არს ყურესა შინა სართულისასა, ვიდრედა სახლსა შინა საერთოსა დედაკაცისათანა მაგინებელისა“ ბევრსა, ბევრსა სთხოვდნენ ებრაელები დედაკაცს, რომ შეძლებოდა მას საპატიყო ადგილი დაეკავებია. რასაც მამაკაცს აპატივებდნენ, დედაკაცს თავის დღემი არ მიუტრეებდნენ და დიდათ სჯიდნენ დამნაშავე ქალს. „ბოროტ დედაკაცს უნდა დაუტკტო და დაუბეგლო ყველაფერი და თუ რამე მისცტო,



ზომით და მრისხანეთ“ . ამბობდნენ ისინი და თუ მეტაობას შეამჩნევდნენ, მაშინვე გაავადებდნენ, ან და ქვით ჩაქოლავდნენ, მამაკაცი მემრუშე კი სრულე-ბით დაუსჯელი რჩებოდა. ასე რომ, თუმცა ებრა-ელები უკეთ უტკეროდნენ; აფასებდნენ დედაკაცებს, მაგრამ მაინც კიდევ ეტყობოდათ მათ კერპთაყვანის-მცემლთა, წარმართა გავლენის ქვეშ ჰყოფნა. ხში-რად ისედაც ხდებოდა, რომ სულ უბრალო მიზეზის გამო ქმარი ცოლს ავადებდა, უსულუკა-პუროდ სტო-ვევდა, ცოლს-კი არ შეეძლო მოპყრობოდა ქმარს ბოროტს ასე სასტიკად. ამასთან ებრაელებშიაც იყო გარკვეულბული მრავალ-ცოლიანობა. მაგრამ როდესაც გამოცხადდა იესო ქრისტე, მან აღამალა დედაკაცი, დაუბრუნა მას დაკარგული ღირსება, მიანიჭა მას შესაფერი ადგილი და უფლება, კვლავ გაათანასწორა იგი მამაკაცთან. გაისმა ხმა მოცი-ქულთა, იესო ქრისტეს მოძღვრების—სწავლის გა-მავრცელებლთა: «ქმართა გიყვარდესთ ცოლნი თვისნი და ნუ გამწარდებით მათდა მიმართა. «ქმა-რნი ვითარცა უფლურებსსა ქურქელსა დღათა მისცემდით პატრისა; «ცოლსა ქმარი იგი თანა-დებსა პატრისა მისცემდენ“. წინათ თუ მარტო ცო-ლებსა სთხოვდნენ ერთგულებას ქმრისას, ახლა ქმარსაცა სავალდებულოდ გაუხდა და ორთავენი ერთნაირ პასუხის გებაში ვარდებიან: «ცოლი თვი-სთა ხორცთა ზედა არა უფალ არს, არამედ ქმარი, ვგრეცა ქმარიცა თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ არს არამედ ცოლი“. «თვითთველსა კაცსა თვისი ცოლი ესენ და თვითთველსა ქალსა თვისი ქმარი ესენ“. ამბობს ჰაველ მოციქული. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მოციქულებსაც ვერ განეთავი-სუფლებიათ სრულეებით თავიანთი თავი იმ დამამ-ცირებელი შეხედულობისაგან, რომელიც სუფევდა ებრაელთა შორის ძველ აღთქმაში. ხშირად შეხედ-ებით მოციქულების ნაწერებში დედაკაცთა დამცი-რებას, მამაკაცთა მალა დაყენებას. მაცხოვარმა-კი სრულეებით დაუბრუნა დედაკაცს მისი კუთვნილი, მაგრამ წართმეული ღირსება. სიტყვებით: «რომელსა უნებს თქვენ შორის დიდყოფათ, იყავნ თქვენდა მსახურა. მან გაათანასწორა ორთავე სქესი. სულ-ერთია, მამაკაცია თუ დედაკაცი, ამბობს იგი, რო-გორც ერთს, ისე მეორეს მაშინ შეუძლია იქნეს უდიდესი, როდესაც სხვებს ემსახურება, აქ სქესი არაფერ შუაშია. თუ ძველ აღთქმაში ნება ეძლეოდათ

ცოლის განშორებისა, როცა მოინდომებდნენ, ახალ აღთქმაში მაცხოვარმა, თვინიერ სიძვისა, აღუკრძალა ასეთი ქცევა, (მათ. 19, 3). თუ გარყვნილ ქალს ქოლავდნენ ქვითა, მაცხოვარი აღუდგა ამ ჩვეულე-ბას წინააღმდეგ, ხედავდა რა, რომ მამაკაცები იმავე საქციელის გულისათვის დაუსჯელად რჩებოდნენ. (იოან. 3, 3—11). ნაცვლად ამისა იესო ქრისტე სავალდებულთ ხლიდა გარყვნილი ცოლის გასწო-რებას ქმრისაგან მასთან განუშორებელი ერთად ცხოვრებითა. თვითონ მაგალითი უჩვენა ყველა და სასულეებითაც არ უშლიდა სახელ ვატეხილ დე-დაკაცებს მასთან ხშირად კუთილიყვნენ, მისი სწა-ვლა-მოდღვრება მოესმინათ, მისთვის სამსახური გაეწიათ (ლ. 7, 37). ამითი უნდოდა მას ზედგაე-ღენა ჰქონოდა მათზე და ქეშვირიტ გზაზე დაეცე-ნებია. ასედაც ხდებოდა. და რომ არ მიეკარებია სიახლოვეს, ისედაც დაღუპულები, უარეს მდგომა-რეობაში ჩავარდებოდნენ. ერთი სიტყვით სქესს არაერთიარ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა; სულ-ერთია დედაკაცია, თუ მამაკაცი, რომელიც უნდა იქნეს ამთავანი. ერთნაირ სასჯელს მიიღებს, ერთ-ნაირ დანაშაულობისათვის. მოსცე ამნაირივე აზრისა იყო მართალია (იხ. მეორ. სჯულ. 22, 22) მაგრამ ებრაელები თავისას არ იშლიდნენ და მარტოკა დედებსა სჯიდნენ, ეს კი აღარ წარმოედგინათ, რომ დედაკაცის ზნეობით დაცემაში მამაკაციც არის დანაშავე: ორივეს ცოდვა ერთს რად უნდა მოე-ზგეს თავზე, მარტო ერთმა, ისიც უძლურესმა, რად რად უნდა აგოს პასუხი, თუ სდემ სამართალია, უძლურესი უნდა იქნეს თავდაპირველად დასჯილი. უშვილო ქალებს, გაუთხოვრებს ებრაელები ამცი-რებდნენ, იესო ქრისტემ განუშარტა მათ, რომ უქორწინება იმ პირთა, ვისაც შეუძლია დათმენა, ან და უშვილობას სრულეებითაც არ ითვლება ცო-დვით (მათ. 19, 11). ამასთან გამოთქვა აზრი რომ მარტოკა ოჯახობა არ ეყოფა ქალს, უმეტესად უნ-და იზრუნოს მან სულიერ საზრდოზე, თავისთვის, რომ მოციქულთა შორის იყვნენ დედაბუცი, რო-მელნიც, როგორც ქადაგების—მოდღვრების ისე ტანჯვა წვალების დროს განუშორებლად იყნენ მასთან. დედებმა, პირველთა მოინდომეს შემორვა იესო ქრისტეს გვამისა ნელსაცხებლითა, იგინივე გახდნენ ღირსნი შეეტყოთ, მაცხოვრის მკვდრეთით



აღდგომაზე (ლ. 2, 53). ისევ ქალი გახდა ღირსი პირველად ხილვისა მკვდრით აღდგომილისა. ორთავე სქესსა აღუთქვა მანსული წმიდა (საქ. მოც. 2, 17) და თუმცა მოციქულთა—მქადაგებელთა რიცხვი მამაკაცთა შედარებით, უფრო მცირე იყო (საქმე მოც. 21, 9), მაგრამ სამაგიეროდ ოჯახებში ლოცვიოთა, ვერდებითა და საზოგადოებაში ქველ-მოქმედებითა მათ მეტად იზინეს თავი და ბევრით გაუსწრეს მამაკაცთა ამ შემთხვევებში (საქ. მოც. 9, 39, 11, 38). რაც დრო ვალიდა, თან-და-თან მეტს უფლებას პოვილობდნენ დედაკაცები და ამ ბოლო დროს ხომ კიდევაც გაიმარჯვეს. მხოლოდ ერთი რამ არა სანატრელი მიმართულება დაეტყო მათ წინ მსვლელობას. რამდენათაც ისინი დაზავრულნი იყვნენ წინათ, იმოღენთ ახლა ჰსურსთ ამალგება; თუ წინათ დედაკაცები კმორჩილებოდნენ მამაკაცებს და იყვნენ მათი ყურმოჭირილი მხველვები, ახლა თვითონ უნდათ გაბატონდნენ; ბრძანებლები იყვნენ და ქმრები მათი მონები; თუ წინათ ქალი ეფარებოდა ქმრის კალთას, ახლა სამაგიეროდ ქმარი ვარდება ამ მდგომარებაში. ქალი ცდილობს, იტღვის თანდათან წაართვას მამაკაცს მისი ადგილი და თვითონ დაიკავოს და ამით სამაგიეროდ ვაღუხადოს, მაგრამ იმაზედაც უნდა იფიქროს, მხედველობაში უნდა იქონიოს, მისწევს მას ამისათვის ძალღონე თუ არა? არ მოხერხდება, უწყოლებელი მამაკაცმა დედაკაცის მოვალეობა სავსებით შეასრულოს, მაშინ აღარც-კი გააჩნდა მას ღმერთი, ან და დედაკაცმა მამაკაცის ადგილი დაიპიროს მისი მაგიერობა გასწიოს. მათ შორის ძვეს საზღვარი და თუ უნდათ მიახწიონ ღვთისაგან დანიშნულ მიზანს, ორთავენი უნდა ცდილობდნენ, ერთმანეთს ემსახურონ, უღელი გაუწიონ, იმ მადლითა, რომელიც თვითოეულ მათგანისათვის მიუნიჭებია შემქმნელს. «კაცად კაცდმან ვითარცა მიიღო მადლი, ვგრეთვე ურთიერთ არს ამსახურებლით მას, ვითარცა კეთილი მნენი მრავალფერისა მის ნიჭისა ღმრთისასა». სამართლიანად გვარიგებს ჩვენ ძმანო ღ დანო, პეტრე მოციქული. ამინ.

თქმული 14 იანვარს თფილისის კათედრის სიონის ტაძარში.

დ.გ. მარკ. ტყეშელაძე.

საშუაარი დაბადებიღამ.

VI.

შექმნის დასასრული.

წიგნი „შექმნათა“, თავი 8.
(შემდეგი*)

„და განასრულა უფალმან დღესა მეექვსესა საქმენი თვისნი, რომელნი ქმნა, და განისვენა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა თვისთა, რომელნი ქმნა. და აკურთხა ღმერთმან დღე მეშვიდე და წმიდა ჰყო იგი“.

ასეთია საზოგადო დასასრული შექმნისა. რას ნიშნავს სიტყვა: „განისვენა“?.. აღამიანთა მოქმედებაში „განსვენება“ დასვენებას ნიშნავს, რომელიც ჩვეულებრივ დიდს შრომასა და დაქანტულობას მოსდევს ხოლმე. ღვთის მოქმედებაში კი ასეთს მნიშვნელობას ადგილი არა აქვს. „ღმერთი საუკუნეთა, რომელმან შემხანდა კიდენი ქვეყანისანი, არ მოემშობს არცა დაშვრეს“,—ამბობს ესაია წინასწარმეტყველი (ესაია, თ. XI, 28). მაშასადამე — „განისვენა“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ღმერთმა დაასრულა შემოქმედება და ყველა არსს უცვლელი კანონები დაუდგინა. რაც კი იმას აქეთ მიმხდარა, ეს მხოლოდ ცხოვრების შემდეგი განვითარება („შექმნათა“ თავი II, 5, 6, 8), ღვთის მიერ მოცემული სამუდამო კანონების თანახმით და თვით უფლის იმ პირდაპირი ზედგავლენის წყალობით, რომელსაც საზოგადოებო ღვთის განკუთვლას ეძახიან.

დღე, რომლითაც შემოქმედება დასრულდა, ნაკურთხია ღვთისაგან, და ამის გამო აღამიანებისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ის ღვთის დღეა განსაკუთრებით. ამით პირველიდანვე აღამიანის მოქმედებას კანონი დაუდგინდა ყველა დროთა და ყველა ღვთისათვის. ეს კანონი შემდეგ ღვთის ათ მცნებაში შევიდა და ასე გამოიხატა: „იქვს დღე იქმოდ და ჰქმენ ყოველი საქმე შენი. ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა; არა ჰქმენ ყოველი საქმე შენი მას შინა შენ, და ძემან შენმან, და ასულმან შენმან, და მონამან შენმან, და მხველმან შენმან, ხარმან შენმან და კარულმან შენმან, და ყოველმანვე საც-

*) იხ. „მწყემსი“ № 3, 1904 წ.



ხიარბიან შენმან, და მწირბან შენმან, რომელი იყოს შენ შორის; რამეთუ ექვსთა მათ დღეთა შექმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა, ზღვა და ყოველი, რა არს მას შინა, და განისვენა დღეს მას მეშვიდედს; ამისთვის აკურთხა უფალმან დღე მეშვიდე და წმიდა ჰყო იგი“ (გამოხვალთა, XX, 9—11).

ამ სახით, თვით უფლის მოქმედების მიხედვით, კაცის ყოველგვარ მოქმედებას კვირაში ექვსი დღე აქვს დადგენილი; მეშვიდე დღე კი—დასვენების დღეა, მაგრამ ღვთის-მიერი დასვენებისა; აღამიანი ამ დღეს თავისუფალი ყოველგვარ ქვეყნიურ ჯაფისა და ზრუნვისაგან, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს დღე მთლად და მარტო ღმერთს ეკუთვნოდეს, როგორც წმიდა და ღვთისაგან ნაკურთხი დღე.

რომ აღამიანს, რომლის ძალებიც შეზღუდულია, შრომისა და ჯაფისაგან დასასვენებელი დრო ეჭირვება,—ეს ყველასათვის თავის თავად ცხადია. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლო მისი მოქმედების სწორი და ნაკურთხი მსუღერლობა: თავთავის დროზე დასვენებით განახლებული და გამოაცოცხლებული მისი ძალები უდროოდ აღარ დასუსტდება და არ დავარდება და წლოვანებით არა ხნიერი აღამიანისაგან სხვის ხელში შემწერე, მუქთახორა არსებას ვეღარ შექმნის. ამას გარდა აღამიანს აქვს ერთი თვისება, სახელდობრ: იგი ხშირათ ისე გატაცებულია ხოლმე ქვეყნიური მზრუნველობით, რომ ბევრჯერ აღარც კი აგონდება თავისი უმაღლესი მოთხოვნილებანი; ამის გამო, საჭიროა გადადებული იქნეს განსაკუთრებული დღეები, რომელნიც კაცს მოაგონებდნენ ამ მოთხოვნილებათ და მათად დასაკმაყოფილებლად შეძლებისადაც აძლევდნენ. ამას გარდა მეშვიდე დღის გამოარჩევით ღმერთს ნებაჲდა ჩავგონებინა კაცობრიობისათვის, რომ უკანასკნელი, როგორც მისი ქმნილება, ვიდრეებულთა თავის დროის ერთი ნაწილი შემოქმედის განსაკუთრებული, სადღესასწაულო მსახურებისათვის გადადვას და ამისთანავე შეძლება ჰქონდეს ყოველსავე ქვეყნიურ ზრუნვას თავი მოაშოროს და განსაკუთრებული ჩაკირვებით თვის დასაბამსა და მომავალ საუკუნო ბედ-იბაღზე იფიქროს.

ეს სასოვადოთ უნდა მეშვიდე დღეზე ითქვას. მაგრამ ჩვენ, ქრისტიანთაგან აქ ერთ გარემოებას უნდა მივუძღვინო ყურადღებას. როგორც ვნახეთ,

საღვთო დღედ მეშვიდე დღე იყო გადადებული, ე. ი. უკანასკნელი დღე კვირისა. ასე იყო ქრისტეს მოხვლამდის. მაგრამ, რაკი მაცხოვრის აღდგომა კვირის პირველ დღეს მოხდა, ამის გამო საღვთო დღეთა ცეს დღე გადაიტაცა; და ყველა მცნებანი, რომელნიც ღმერთმა შაბათის შესახებ დასდო, მთლად ამ ახალ საღვთო დღეზე (კვირეზე) გამოვიდა. ეს დღე მთლად ღმერთს უნდა ეკუთვნოდეს, მასში ადგილი არ უნდა ექნეს ჩვეულებრივს ამ ქვეყნიურს ზრუნვას და მოქმედებას: ვაჭრობას, მუშაობას და სხვ., მით უმეტეს არ უნდა ექნეს ადგილი ისეთს სისაძაღლეს, როგორცია, მაგალითად, ლოთობა, ქეფი და გარყვნილობა. თუ პირველი (მუშაობა, ვაჭრობა) მხოლოდ დარღვევა საღვთო მცნებისა, მეორე (გარყვნილობა და ლოთობა) პირდაპირი შეურაცხყოფა და საცინათ აგდება საღვთო დღისა.

მეშვიდე კვირის სხვა დღეებიც მივამატა, რომელნიც აჯერებენ ღვთის საღვთებულთა არიან გადადებული და შექმნებულ იქნა დღეებიანი, ე. ი. შრომისაგან თავისუფალ დღეებად. სამწუხაროდ, თუმცა უქმეების რიცხვი ქრისტიანებმა ძალიან გააზარდეს, მაგრამ თავი და თავი კი დღეიწყეს, სახელდობრ ის, რომ უქმი საღვთო დღე არის, რომელიც სიწმიდით უნდა იქნეს გატარებული. აქედან რაღა თქმა უნდა, ძიანო, რომ ჩვენს დღესასწაულებს უფრო პირდაპირ შეეხება ის, რაც უფალმა ბრძანა ერთ დროს ებრაელთა უქმეებზე, ვინც ამ უკანასკნელთ: „მარხვა და უქმობა და დღესასწაულნი თქვენნი ძუბან სულსა ჩემსა“ (ესაია, I, 14). ებრაელები შაბათს დღემდისაც წმინდათ ინახავენ, როგორც საღმთო დღეს. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ესევე ვთქვათ ჩვენს კვირა-უქმე დღეებზე?.. აღდგომის კვირეზე—ამ „დღესასწაულთა დღესასწაულზე“?.. შობის უქმეებზე?.. სატაძრო დღეებზე და სხვ.?..

რადღენ საშიში ბოროტ-სარგებლობა იმითი, რაც ჩვენს განსაწმენდათ, ჩვენი სულის საცხოვრებლათ და ჩვენი მოქმედების საკურთხეველად და დავგენილი!.. დღე და ღამე ღმერთს ეკუთვნის, რადგან მისგანაა გაჩენილი. მისივე საკურთხევაა მთელი ის დროც, რომელიც ამ ქვეყნად გვაქვს მოცემული. მაშ სხვას რას უნდა შევწიროს ჩვენი სიცოცხლის ყოველი წუთი, თუ არა ღვთის მსახურებას?..



სხვას ვის უნდა ეკუთვნოდეს ყველა ჩვენი ფიქრები, ყოველი ჩვენი მოქმედება, თუ არა იმას?.. მაგრამ მოწყალე ღმერთი შედის ჩვენს მღვდლობრობაში, ყურს უგდებს ჩვენს სხვა-და-სხვა გვარ მობოხვენილებათა, და დროის მხოლოდ შეშვიდელ ნაწილს აკლებს ადამიანის მოქმედებას თვისდა სამსახურებლად.. მაგრამ როგორ ესარგებლობთ ჩვენ, ძმანო, დროის ამ ბრძნული განაწილებით?.. ზოგს ჩვენგანს საღმრთო დღე—ყოველგვარ საზიზღრობათა დღედ გადაუქცევია! ზოგს იგი—უბრალო ძილისა და მოსვენების დღედ მიაჩნია!.. არიან ისეთი პირები, რომელნიც თვით ამ დღის საქორებასაც კი უარპყოფენ!.. ამის შემდეგ განა შესაძლოა ჩვენს მოქმედებაზე ღვთის მადლი და კურთხევა გადმოდიოდეს?.. და არკი ამიტომაცაა, რომ ღვთის მადლს მოკლებული, ყოველი ჩვენი მოქმედება არავისთვის სახარბიელოთ არ მიდის!..

სოფლის მასწავლებელთა და ლაზარეთის გაზრდილებათათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე კ ა დ რ ე დ ა ქ ი ა ი მყოფება დ. ყვირილაშვილს რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ქუჩიანის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: ВЪ Квиріиля, въ редакцію газеты журнала „МЦЬЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თაყაყურიას

ს ა ა ვ ა დ მ ყ უ ზ ო უ ი,

რომელიც იძულებულია მათი უმატლესობის ზრინცხლექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სექირურტო, დედაბთ და თვალთ ვავადმოფოთბთვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ვავადმოფოთსამეურსხლო არ დაბულობს.

ფასი დღე-ღამეში ქამა-სისია და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე. (V)

ბანსხალბა.

მიიღება ხალის-მოფარა 1904 წლისათვის მრავალჯერად გამოცემათა მართულს

„მწყემსი“ - ზმ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქუჩნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი»	6 თვით «მწყემსი» 2მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ.	„ რუსული „ 2 »
„ რუსული „ 3 მ.	„ ორივე გამოცემა 3 »
„ ორივე გამოცემა 3 »	„ ორივე გამოცემა 3 »

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბავარილაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე დამაშვიდესთან, თბილისში წერა-კახხის გამაერტე-ლეგელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩაში მელითან. ახალსხანავში — ბლოკოჩინ მამა არ. კალანდარი შეიღოთან.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოციციანული ბანსოცილიზმა: უმაღლესი მანიფესტი, —სავალდებულო დღეგენილება, ქუთაისის გუბერნატორის სალიბრატორი. ბანსოცილიზმა: საუბარი ღმერთზე და ღვთის სიმაართეზე, დეკ. დ. დამაშვიდის. —იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთ. 15—22 დეკემბერს, დამსწრესი. —რუსეთის პრესსა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. —იმპერატორი ალექსანდრე მეორე (სურათი). —ახალი ამბები და შენიშობი. —რედაქციისაგან.

სწავლა და მცინიერება ქრისტიანობაში სარწმუნოებას და კათოლიკეობაში: სიტყვა, თქმული 14 იანვარს თფლის. კათ. სიონ. ტაძარში, დეკ. მარტ. ტყემალაძის მიერ. —განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. დამაშვიდე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
 Дозволено цензурою Архимандритъ Георгій Марта 3 19 04 г.

Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квиріиляхъ въ собст. домѣ.